მაქსიმ გორკი

Г536
201

კავკასიის ამბების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობა
1936



პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი

მაქსიმ გორკი

კავკასიის ამბების შესახებ

35627

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობა • 1936

პ/მგ. გამოშვებისათვის ა. მელიხოვი

კორექტორი ს. ბუზარიაშვილი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
გამომშვები ვ. გიორგობიანი
გადაეცა წარმოებას 2/VIII—1936
ხელმოწერ. დასაბ. 2/IX—1936

მთავლიტის რწმ. № ბ-8640
პარტგამომცემლობა № 51
შეკვეთა № 371
ტირაჟი 5.000
წიგნის ზომა—5×8

გამოვიდა 1936 წლის 5 სექტემბერს

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობის I სტამბა, ლენინის ქ. № 3.

ა. მ. გორკი მახლობელი და ძვირფასია მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის. მისი ხსენება საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ხალხებში ძვირფასია კიდევ იმიტომ, რომ თავისი დიდი გზა რევოლუციონერ-მწერლისა ალექსეი მაქსიმეს-ძემ ამიერ-კავკასიიდან დაიწყო.

ალექსეი მაქსიმეს-ძე პეშკოვი პირველად ჩამოვიდა ტფილისს 1891 წელს. აქ იგი რამდენიმე ხანს მუშაობდა რკინისგზის მთავარ სახელოსნოებში. 1892 წელს ტფილისში ალექსეი მაქსიმეს-ძემ დაბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

მეორედ გორკი 1898 წელს ესტუმრა ტფილისს, მაგრამ ამხანად არა თავისი სურვილით, არამედ მეფის სატრაპების ბრძანებით. ტფილისის ჟანდარმერიამ ალექსეი მაქსიმეს-ძე გამოიხთოვა ლუზინ-აფანასევის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. გორკი ეტაპით ჩამოიყვანეს ტფილისში და მეტეხის ციხეში მოათავსეს.

ალექსეი მაქსიმეს-ძემ ხელახლად მოიარა ტფილისი და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქები 1901 წელს, — იგი ჩამოვიდა მწერალ ა. ჩეხოვთან და მხატვარ ვასნეცოვთან ერთად და დაწვრილებით ეცნობოდა ამიერ-კავკა-

სის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას და მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა.

საბჭოთა საქართველო და ამიერ-კავკასია ალექსეი მაქსიმეს-ძემ ინახულა 1928 წელს. აქ იგი დიდის აღფრთოვანებით ადევნებდა თვალყურს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებულ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ხალხთა უდიდეს წარმატებებს. ალექსეი მაქსიმეს-ძე სიხარულით აღნიშნავდა ამიერ-კავკასიის ხალხთა ბრწყინვალე გამარჯვებებს ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის ფრონტზე, მათს შემოქმედებითს აღმავლობას და ძმური მეგობრობის განმტკიცებას მათ შორის, რაიც მიღწეული იყო ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების საფუძველზე.

ამიერ-კავკასიაში ყოფნამ, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, ალექსეი მაქსიმეს-ძეზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა; მას უყვარდა, როგორც თვითონვე აღიარებდა ამას, „ეს მშვენიერი ქვეყანა, სილამაზისა და ძლიერების ეს გრანდიოზული განსახიერება“.

გორკი, რევოლუციის ეს ქარიშხალა, დიდი პროლეტარული მწერალი, რევოლუციური მოქმედებისა და აზრის გაბედული გაქანების ადამიანი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის რიგებში ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე ჩადგა და დიდი ლენინის მახლობელი მეგობარი იყო. მთელი თავისი დიდი სიცოცხლე ალექსეი მაქსიმეს-ძემ ლენინ-სტალინის საქმეს, — კომუნიზმისათვის ბრძოლას შესწირა.

მშრომელთა თავდადებული მეგობარი და რუსეთის

თვითმპყრობელობის, მემამულეთა და ბურჟუაზიის შეურიგებელი მტერი, ალექსეი მაქსიმეს-ძე 1905 წლის რევოლუციაში მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა; ის ავტორი იყო გამამათრახებელი და ცეცხლით აღსავსე ფურცლებისა და პროკლამაციებისა.

როდესაც 1905 წელს მის ყურამდე მიაღწია ცნობამ ამიერ-კავკასიაში მომხდარ სომეხ-თურქთა ჟლეტის ტრაგიკული ამბების შესახებ, ალექსეი მაქსიმეს-ძე უდიდესი სიძულვილით და გამძაფრებით გამოეხმაურა ამ ამბებს.

ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა რუსეთის მოძმე პროლეტარიატთან კავშირში გაალფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ და მემამულურ-ბურჟუაზიული წესწყობილების სრული განადგურებისათვის. ამიერ-კავკასიის ხალხთა რევოლუციური ბრძოლა ბოლშევიკებისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით სწარმოებდა.

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, შეიარაღებულნი რევოლუციის ლენინური სტრატეგიითა და ტაქტიკით, — წარმოადგენდნენ ერთადერთ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც სათავეში უდგა მუშათა და გლეხთა ბრძოლას რევოლუციის საბოლოო გამარჯვებამდე მისაყვანად, თვითმპყრობელობის დასამხობად და პროლეტარიატის და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის დასამყარებლად“. (ლ. ბერია).

გამხეცებულმა თვითმპყრობელობამ ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების რევოლუციურ შეტევას საზიზღარი ბოროტმოქმედებით უპასუხა: 1905 წლის თებერვალში,

ქ. ბაქოში, მან პროვოკაციულად გამოიწვია სომეხ-თურქთა ჟლეტა. ამ წელს თვითმპყრობელობამ ხოცვა-ჟლეტა და პოგრომები მოაწყო: ნახიჩევანში, შუშაში, ტფილისში, ელისავეტპოლში, კვლავ ბაქოში და სხვ. ადგილებში; — „ცხოვრების ბატონ-პატრონთა“ ბოროტი ნების წყალობით ამიერ-კავკასიის მშრომელთა სისხლი მთელი 1905 წლის განმავლობაში იღვრებოდა.

თვითმპყრობელობის ეს საზიზღარი ტაქტიკა რევოლუციას დიდ ზიანს აყენებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, “1905 წელს ამიერ-კავკასიაში ფართო გაქანება მიიღო მუშათა და გლეხთა რევოლუციურმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“ (ლ. ბერია). თვითმპყრობელობის მიერ ამიერ-კავკასიაში წარმოებული ამ გათახსირებული ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ გამძაფრებული წერილით გამოვიდა ა. მ. გორკი. ეს წერილი, რომელიც დაწერილი იყო გაზ. „კასპიის“ რედაქციის შეკითხვის საპასუხოდ, აკრძალული იყო რუსეთში დასაბეჭდად და იგი ცალკე ბროშურად გამოვიდა 1905 წელს ჟენევაში.

ამ წერილმა სილა გააწნა თვითმპყრობელობის მხეცურ დინგს. მან გამოააშკარავა თვითმპყრობელობის ნაციონალურ-პროვოკატორული პოლიტიკის მთელი სისაძაგლე.

ამ წერილში ალექსეი მაქსიმეს-ძე სწერდა:

„დაუსჯელობით გათახსირებულ ადამიანთათვის დამახასიათებელი ცინიზმით, იმ პირუტყვის მკაცრი გულახდილობით, რომელიც გრძნობს თავის ძალას, ისინი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რომ ჩაეკლათ ხალხის შემოქმედებითი სული. მაგრამ ისინი, ეს საცო-

დავი ადამიანები, რომელნიც თავისთავს მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ბატონპატრონად სთვლიან — უვიცნი და გონებაჩლუნგნი არიან; მათ არ ესმით, რომ ხალხის გადაქცევა ბრმა, მექანიკურ ძალად შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია გადავამუშაოთ თიხის გროვად კავკასიის კლდოვანი მთები".

ალექსეი მაქსიმეს-ძეს უსაზღვროდ სწამდა ექსპლოატაციაზე და ჩაგვრაზე დამყარებული წესყობილების დამხობის მოახლოვება. წერილში იგი მოუწოდებდა მშრომელთ ინტერნაციონალური შედუღებისა და გადამწყვეტი ბრძოლისაკენ „იმ ბოროტი და უაზრო ძალის წინააღმდეგ, რომელიც ერთნაირის სიმძიმით გვსრესავს ჩვენ".

ამ წერილს მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი დროისათვისაც და იგი დიდი ღირებულების მქონე პოლიტიკური დოკუმენტია. იგი მძიმე წარსულს გვაგონებს და ამით ხაზს უსვამს იმ საამურ და ბედნიერ აწმყოს, რომელიც მოპოვებულია ბრძოლით საბჭოთა კავშირის მრავალეროვნული პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი

Prix 20 cent.

MAXIME GORKI.

Sur les événements au Caucase.

МАКСИМЪ ГОРЬКІЙ

О КАВКАЗСКИХЪ СОБЫТІЯХЪ

(Печатано съ рукописи)

ИЗДАНІЕ «Demos»

ЖЕНЕВА.
Imprimerie Zœllner, Square du Stand,
1905.

1905 წ. ჟენევაში გამოცემული მ. გორკის ბროშურის ყდა.

კავკასიის ამბების შესახებ

პატივცემულო ამხანაგო!*

თქვენ მეკითხებით — რას ვფიქრობ მე კავკასიაში ამჟამად მომხდარ ამბებზე?

სირცხვილითა და გულის ტკივილით ვკითხულობ და ვისმენ იმას, რაც თქვენში ხდება. მე ისე მხურვალედ მიყვარს ეგ მშვენიერი ქვეყანა, — სილამაზისა და ძლიერების ეს გრანდიოზული განსახიერება, — მისი თოვლით დაფიფქული მთები, — სწრაფი, მოჩუხჩუხე მდინარეთა მხიარული ხმაურით აღსავსე მინდვრები და ხეობები, — მისი ლამაზი, ამაყი შვილები.

კავკასიაში ყოფნის დროს ყველგან ვხედავდი, როგორი შეხმატკბილებით და მშვიდობიანად მუშაობდნენ მხარდამხარ ქართველი, თათარი და სომეხი, რა ბავშვური ხალისით და უბრალოებით ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ ისინი, და მეტად ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უბრალო, ჩინებული ადამიანები, დამორჩილებიან რა მათს წამქეზებელ ბოროტსა და ბნელ ძალას, უგუნურად და უაზროდ ჟლეტენ დღეს ერთმანეთს.

მე სიმკაცრე ისე არ მტანჯავს, როგორც უმეცრება იმ ადამიანებისა, რომელთაც არ ესმით, რომ მათს ბნელ ვნებებს ამოძრავებს გარეშე ბოროტი ძალა. მე არა მგო-

---

* ეს წერილი მაქსიმ გორკიმ დასწერა ბაქოს გაზეთ „კასპიის“ რედაქტორის შეკითხვის საპასუხოდ. რუსეთში ის აკრძალული იყო ცენზურის მიერ. გამომც. „Demos“-ის შენიშვნა.

ნია, რომ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ერთნაირად სამარ-
ცხვინო სისხლიანი ტრაგედიები ბაქოში და ერევანში გა-
ნირჩეოდნენ თავისი მოტივებით ასეთსავე ტრაგედიებისა-
გან კიშინიოვსა და ვარშავაში, ჟიტომირსა და ლოძში.
ნახიჩევანში, კურსკში, რიგაში და ივანო-ვოზნესენსკში
— ყველგან გამოსჩანს საზიზღარი მუშაობა ერთი მუ-
ჭა ადამიანებისა, რომელნიც შეშლილობის კარზე არიან
მისული სახელმწიფოში ძალაუფლების დაკარგვის ში-
შით, — ადამიანებისა, რომელნიც ცდილობენ სისხლის-
ღვრით ჩააქრონ ხალხის შეგნების ის ცეცხლი, რომ მას
აქვს უფლება იყოს მშენებელი ცხოვრების ახალი ფორ-
მებისა.

ეს ადამიანები მიეჩვივნენ ხელისუფლებას, ისინი ისე
კარგად ცხოვრობდნენ, როდესაც შეეძლოთ თავის ნა-
მოქმედარის შესახებ არავისათვის ანგარიში არ ჩაებარე-
ბინათ და ყოფილიყვნენ გამგებელნი ჩვენი ქვეყნის ბედ-
იღბლისა და სიმდიდრეთა, ხალხის ძალღონისა და სისხ-
ლისა; ისინი რუსეთს საკუთარ მამულად სთვლიდნენ,
უფლებააყრილი ხალხი მათ ძალმომრეობით ჰყავდათ
ჩაფლული უმეცრებასა და ტალახში, რათა დაეძაბუნები-
ნათ ხალხის სული, არ მიეცათ გზა მისი ენერგიის ზრდი-
სათვის, გაეხადათ იგი ბრმა და მუნჯ მონად, რომელიც
მორჩილი იქნებოდა მათი ნება-სურვილისა.

დაუსჯელობით გათახსირებულ ადამიანთათვის
დამახასიათებელი ცინიზმით, იმ პირუტყვის მკაცრი
გულახდილობით, რომელიც გრძნობს თავის ძალას, ისინი
ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რომ ჩაეკლათ
ხალხის შემოქმედებითი სული. მაგრამ ისინი, ეს საცო-
დავი ადამიანები, რომელნიც თავის თავს მთელი ჩვენი

ქვეყნის ცხოვრების ბატონპატრონად სთვლიან — უვიცნი და გონებაჩლუნგნი არიან; მათ არ ესმით რომ ხალხის გადაქცევა ბრმა, მექანიკურ ძალად შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია გადავამუშაოთ თიხის გროვად კავკასიის კლდოვანი მთები.

ამ ადამიანთა მიერ უაზრო და უწყალო ჩაგვრამ ვერ ჩააქრო ჩვენს ქვეყანაში გაბედული და თავისუფალი აზრის ცეცხლი — იგი ჩაღდება უფრო და უფრო, ბრმებიც კი ხედავენ ახლა მის განრისხებულ პრიალს, იგი მოულოდნელად ენთება ყველგან და ისწრაფის გადაიქცეს ერთ ძლიერ სასიხარულო ალად, ყველა გონიერ დ პატიოსან ადამიანთა ქარიშხლისებურ პროტესტად იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავს მათ წინააღმდეგ უნიჭო და უნიადაგო პარაზიტების ხროვა, გამოკვებილი მშობლიური მიწის საუკეთესო წვენით...

პარაზიტები გრძნობენ, რომ იწყება მათი აგონია და ახლოვდება მათი აღსასრულის ჟამი, მაგრამ მათ სიცოცხლე უნდათ და იბრძვიან შეძლებისამებრ ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ, იბრძვიან უსინდისოდ, მხდალად და სამარცხვინოდ. ცხოვრების ფსკერიდან მათ ამოატივტივეს ყოველივე ბნელი და ბინძური, ყველაფერი, რაც დასახიჩრებულია მათი ჩაგვრით ადამიანური სახის დაკარგვამდე. ყველა ანგარებიანი, გამყიდველი, საზიზღარი; და ამ მტაცებელთა და პირუტყვთა გონებაჩლუნგ მასას ისინი უსევენ ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, რომ გასრისონ ისინი და კიდევ ერთი წლით შეინარჩუნონ ხელისუფლება თავიანთ უძლურ ხელში.

ისინი აშკარად უსევენ, როგორც ძაღლებს, რუსებს ებრაელებზე, პოლონელებზე და ფინებზე, თათრებს

სომხებზე და ქართველებზე, შიმშილისაგან გონება დაჩლუხგებულსა და დაბეჩავებულ გლეხს სტუდენტებზე და ბავშვებზედაც კი!

და შეიძლება ასეც მოხდეს — თუ ხვალ თათრები მოითხოვენ თვითგამორკვევის ადამიანურ უფლებას — მათს წინააღმდეგ გაგზავნიან ყირგიზებსა და მორდვას, რომ გასწყვიტონ ისინი სხვისი ხელებით... და ყველგან ერთი და იგივე ხდება. პარაზიტების ბოროტი ძალა ჩვენს ქვეყანაში თავისი მდგომარეობის დასაცავად მოუხმობს ყველაზე უფრო ველურ, ყველაზე უგუნურ ადამიანებს იმათ წინააღმდეგ, ვისაც გულწრფელად და უანგაროდ სწადიან სიკეთე და თავისუფლება თავის სამშობლოსა და თავისი ხალხისათვის.

კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე გაბატონებულ კლასს არც ერთ ქვეყანაში ისე სამარცხვინოდ, ისე უტიფრად და ცინიკურის სიმკაცრით არ უწარმოებია ბრძოლა ხალხზე თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, როგორც ეს ხდება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სისხლიან დღეებში.

რა საზიზღარი და საცოდავი უძლურება გამოსჭვივის ამ ადამიანებში, რომელნიც დამთვრალან დაღვრილი სისხლით და თავისი აღსასრულის წინათგრძნობით!

რაოდენ ზიზღს უნდა იწვევდეს ჩვენი ქვეყანა ევროპელებში იმის წყალობით, რომ ისინი, ვინც ჩვენ გვბრძანებლობენ, სიცოცხლისაკენ მოუწოდებენ მხოლოდ პირუტყვულს, უხეშს და მხეცურს, და მით ცდილობენ ლახვარი ჩასცენ ყოველივეს—ჭეშმარიტად შემოქმედებითს, პატიოსანსა და ადამიანურს!

ის დღეები, რომელთაც განვიცდით ჩვენ, მთელი ჩვე-

ნი ქვეყნის სულიერი განახლების წინადღეებია, მაგრამ ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებს რუსეთში სინათლისა და ახალი ცხოვრებისადმი სწრაფვის წინააღმდეგ — ეს ბრძოლა ჩაიწერება ისტორიაში, როგორც ერთერთი უსაზიზღრესი ნამოქმედარი კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე.

შეუძლებელია ეს ბრძოლა დიდხანს გაგრძელდეს, რადგან ხელისუფლება რყვნის ადამიანს. ისინი, ვისაც დღეს ხელთუპყრიათ დაუსჯელათ ძარცვისა და ჟლეტის ძალაუფლება, მალე არ დასთმობენ მას. ხელი, რომელმაც გუშინ თავი გაუჭეჭყა სომეხს ან ებრაელს იმისათვის, რომ მან რუსზე და თათარზე უფრო ადრე თავისუფალ ადამიანად შეიგრძნო თავი, — ვის შეუძლია სთქვას, ხვალ ვის გაუჭეჭყავს თავს ეს ხელი?

მისი ბრმა მოქნევა და დარტყმა ადვილი შესაჩერებელია. საჭიროა მხოლოდ, რომ კავკასიისა და ფინეთის, პოლონეთისა და რუსეთის ყველა საუკეთესო, ყველა პატიოსანი ადამიანი გაერთიანდენ მეგობარ-მებრძოლთა მთლიან ოჯახად, პატიოსანთა და უშიშართა რაზმად, — გაერთიანდენ და ჰკითხონ ერთმანეთს:

— ვინ არის ჩვენი მტერი?

პასუხის პოვნა ადვილია.

ყველას, — თათარს, რუსს, სომეხს და ებრაელს, პოლონელს, ფინს, — ყველას ერთი სურვილი აქვს: იცხოვროს უკეთესად, ვიდრე ის ცხოვრობს. და ყველა ერთნაირად მოკლებულია თავისუფლებას, მოკლებულია უფლებას იცხოვროს თავისი ტომობრივი, სარწმუნოებრივი და ყოფა-ცხოვრებითი პირობების მიხედვით.

უწინარეს ყოვლისა რაა აუცილებელი ადამიანისა და ხალხის ზრდისათვის?

თავისი პირადი და საზოგადოებრივი ზრახვების თავისუფლად გამორკვევის უფლება, ერთად ცხოვრების ისეთ ფორმათა თავისუფლად შენების უფლება, რომელიც უფრო ხალვათი იქნებოდა თავისი სულისა და თავისი ტომის სულის ასამაღლებლად.

მაშ, განა სომეხი და ქართველი ართმევს თათარს ამ თავისუფლებას? განა რუსი, ებრაელი და პოლონელი შებოჭილი არ არიან იმავე ძალის მიერ, რომელიც ერთნაირის სიმძიმით აწვება თათრის მხრებსაც?

და ჩვენ ყველას — ერთი მტერი გვყავს. ყველა, ვისი გონებაც ნათელია, ვისი ნებისყოფა არ ემორჩილება დამონებას, უნდა გაერთიანდნენ მთლიან ოჯახად იმ ბოროტი და უაზრო ძალის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ერთნაირის სიმძიმით გვსრესავს ჩვენ.

ყველას ერთი მტერი გვყავს.

მაშ დეე იყოს ჩვენს შორის თანასწორობა და ძმობა, დეე გაგვანათლოს ყველა გონების სხივმა, გავერთიანდეთ ერთს დიდ, დაუძლეველ ნებისყოფად და მაშინ —

გაუმარჯოს თავისუფლებას!

მაქსიმ გორკი.

32
З 721

ფასი 50 კაპ.

М. Горький

О кавказских событиях

Партиздат ЦК КП (б) Грузии
Тбилиси 1936